მედიცინის კვლევების ცენტრი

გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის განათლებისა და კვლევების ინსტიტუტის დებულების 2.3 და 3.8 პუნქტების შესაბამისად, მედიცინის დარგობრივი სამეცნიერო და სასწავლო-კვლევითი საქმინაობის ეფექტური განხორციელების მიზნით გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის განათლებისა და კვლევების ინსტიტუტის ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედებს მედიცინის კვლევების კომპეტენციის ცენტრი, შემდგომში „მედიცინის კვლევების ცენტრი“

„მედიცინის კვლევების ცენტრში“ სამეცნიერო საქმიანობას იწარმოება როგორც უშუალოდ მეცნიერი მკვლევარების, ასევე დოქტორანტების, სათანადო მოთხოვნების საფუძველზე შერჩეული სტუდენტების და მოწვეული საერთაშორისო კონსულტანტების, მეცნიერების მიერ.

კვლევები წარმოებს როგორც სადოქტორო პროგრამის/შესაბამისი კვლევითი პროექტების, ასევე საერთაშორისო, საუნივერსიტეტო, სკოლის და ეროვნული კვლევითი პროექტების ფარგლებში.

მედიცინის კვლვების ცენტრმა შესაძლებელია შეიმუშაოს და მიიღოს მონაწილეობა მაღალი დონის ტრენიგებსა და სწავლებებში, რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება სკოლასთან და უნივერსიტეტთან კოორდინაციით.

კვლევითი პროექტებზე მუშაობა ხორციელდება მედიცინის დარგების მიმართულებების მიხედვით - თერაპია, ქირურგია, ნევროლოგია, მეანობა-გინეკოლოგია, პედიატრია, ფსიქიატრია ან მათში ინტეგრირებული ბიოსამედიცინო საკითხების შესახებ/შესაბამისი ბაზის (საუნივერსიტეტო და/ან საკონტრაქტო) და მკვლევარების მონაწილეობით.

მედიცინის კვლევების ცენტრს ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის აკადემიური პერსონალი, რომელიც მუშაობს მედიცინის კვლევების მიმართულებით, რაც გულისხმობს: საუნივერსიტეტო ან სასკოლო ან საერთაშორისო სასწავლო კვლევით პროექტებში ან შესაბამის სადოქტორო პროგრამაში კონკრეტული სამედიცინო თემატიკის კვლევაში მონაწილეობას. აღნიშნულ პირს უნდა ჰქონდეს კვლევის არანაკლებ 4 წლიანი გამოცდილება, რომლის სამეცნიერო საქმიანობა დასტურდება რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში შესაბამისი გამოქვეყნებული სტატიებით, პროექტებში ჩართულობით და სხვ.

უნივერსიტეტის რექტორთან, მედიცინის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის პოზიციაზე, კანდიდატურას წარადგენს ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის დირექტორი გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის განათლებისა და კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

მედიცინის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გლობალური და ევროპული ჯანმრთლოების განათლებისა და კვლევების ინსტიტუტის დირექტორის თანხმობით, აწარმოოს მოლაპარაკებები, გააფორმოს შეთანხმებები, შეიმუშაოს პროექტები და შექმნას მიზნობივი კვლევითი სამუშაო ჯგუფები, ხელი შეუწყოს სადოქტორო, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება- განხორციელებას, სკოლის სათანადო სტურქტურებთან ერთად, ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევების განვითარებას.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2025 წლის 28 ივლისის N 16/25 ოქმით

მედიცინის კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი უშუალოდ კოორდინირებს მედიცინის კვლევების ჯგუფებს, ანგარიშვალდებულია გლობალური და ევროპული ჯანმრთლოების განათლებისა და კვლევების ინსტიტუტის ინსტიტუტის დირექტორისა და მისი სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

მედიცინის კვლევების ცენტრის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით, წინამდებარე დებულებით.

მედიცინის კვლევით ცენტრს აქვს შემოსავლები და ხარჯები დაგეგმილი პროექტების, გრანტების ფარგლებში. მედიცინის კვლევითი ცენტრის შემოსავლები და ხარჯები შესაბამისად აისახება გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის განათლებისა და კვლევების ინსტიტუტის ბიუჯეტში.

მედიცინის კვლევით ცენტრი საქმიანობას წყვეტს, თუ კვლევითი პროექტები დასრულებულია და არ ხორციელდება ერთი სასწავლო წლის მანძილზე.